პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 187 (3164) 25 1966 წ. სექტემბერი, კვირა, ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 23-ე წელი

## ვარძიიდან, გელათიდან, იყალთოდან

შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის აღსანიშნავად რესპუბლიკის მშრომელებთან ერთად დიდი მონდომებით ემზადებიან ფიზკულტურული ორგანიზაციებიც. საქართველოს სპორტკავშირმა შეიმუშავა საიუბილეო დღეებში ჩასატარებელი ღონისძიებების საინტერესო და მრავალფეროვანი გეგმა. სხვათა შორის, განზრახულია მოტოციკლისტთა ვარსკვლავისებური ტურისტული ლაშქრობანი შემდეგი მარშრუტებით: 1. გელათი—ქუთაისი—ზესტაფონი—ხაშური—გორი—მცხეთა—თბილისი; 2. ვარძია—ახალქალაქი—ბოგდანოვკა—წალკა—თეთრი წყარო—თბილისი; 3. იყალთო—თელავი—გურჯაანი—სიღნაღი—საგარეჯო—თბილისი.

1 ოქტომბერს, დილის 10 საათზე, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების საუკეთესო მოტოციკლისტები სტარტს აიღებენ გელათში, ვარძიასა და იყალთოში, იმ ადგილებში, რომლებიც ჩვენი სასიქადულო პოეტის სახელთანაა დაკავშირებული. ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში ესტაფეტას ჩამოიტანენ მეორე დღის 17 საათზე. ამ დროისთვის სპორტსმენები თავს შეიყრიან რუსთაველის მოედანზე დიდი პოეტის ძეგლთან, საიდანაც „ლოკომოტივის" სტადიონისკენ გაეშურებიან. აქ კი, როგორც ცნობილია, გაიმართება სპორტულ-მხატვრული დღესასწაული.

### ლაშქრობის სქემა




## დიდი პოეტის ხსოვნას მიუძღვნეს

### ბათუმი

ქალაქის მე-13 საშუალო სკოლის მოსწავლეებმა მთა-ცისკარაზე ლაშქრობა მოაწყეს, რომელიც შ. რუსთაველის დაბადების 800 წლისთავს მიეძღვნა. ლაშქრობაში მონაწილეობდა 40 მოსწავლე.

ს. სურგულაძე.

### თერჯოლა

„სპარტაკის" რაიონულმა საბჭომ აქ გამართა საწარმო-დაწესებულებათა სპარტაკიადა, რომელიც შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავს მიეძღვნა. მასში ასპარეზობდა 12 კოლექტივი. საერთო გუნდური პირველობა მოიპოვეს მექანიკური ქარხნის სპორტსმენებმა. II ადგილზე გავიდნენ აგურის ქარხნის წარმომადგენლები, ხოლო III — ჩხარის იატაკისა და ფილტრის ქარხნის ფიზკულტურელები. სპარტაკიადის პროგრამაში იყო სპორტის 6 სახეობა.

ლ. ჯიშიაშვილი.

### ბოლნისი

სულხან-საბა ორბელიანის სახელობის კულტურის სახლში მოეწყო მოჭადრაკეთა ტურნირი, რომელიც მიეძღვნა გენიალური ქართველი პოეტის, შოთა რუსთაველის იუბილეს.

შეჯიბრებაში რაიონის 18 უძლიერესი მოჭადრაკე მონაწილეობდა. I ადგილი დაიკავა ბოლნისის ღვინის ქარხნის თანამშრომელმა ა. რეხვიაშვილმა (15,5 ქულა). გამარჯვებულს 0,5 ქულით ჩამორჩა კ. გახარია. III იყო ვ. გოლეთიანი.

გ. უზრეხელიძე.

## ჭადრაკის დაფებთან

თბილისში, ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში, გუშინწინ სტარტი აიღო უძლიერეს ოსტატობის კანდიდატთა ტურნირმა, რომელიც მიძღვნილია დიდი შოთა რუსთაველის დაბადებიდან 800 წლისთავისადმი.

მონაწილენი სატურნირო ცხრილში (კენჭისყრით) ასე განლაგდნენ: 1. ს. მეგრელიშვილი, 2. ე. მიქაელიანი, 3. ს. ჩეჩელიანი, 4. ლ. კერნოჟიცკი, 5. ო. ელიოზიშვილი, 6. გ. ციხელაშვილი, 7. მ. თხელიძე, 8. ზ. მიქაძე, 9. ჰ. არნშტეინი, 10. ა. კირვალიძე, 11. ე. უბილავა.

I ტურში უბილავამ მოუგო მიქაელიანს, ჩეჩელიანმა — კირვალიძეს, თხელიძემ — ციხელაშვილს, ელიოზიშვილმა — მიქაძეს. დაუმთავრებელი დარჩა კერნოჟიცკი — არნშტეინის შეხვედრა.

## უკანასკნელ საათს...

◆ ვესტბორგი, 24 სექტემბერი. მსოფლიო პირველობა წიდიან ბილიკზე მოტორბოლაში მოიგო ახალზელანდიელმა ბ. ბრიგსმა. ამ 31 წლის სპორტსმენმა დაიბრუნა 9 წლის წინათ პირველად მოპოვებული ეს უმაღლესი წოდება, რომელიც, საერთოდ, მეოთხედ მოიხვეჭა. II ადგილზეა ნორვეგიელი ს. ხარფელდტი, III — პოლონელი ა. ვორინა. საბჭოთა მრბოლელი ი. პლეხანოვი VII იყო.

◆ **ბუდაპეშტი, 24 სექტემბერი.** მეგობრული არმიების მოკრივეთა აქ მიმდინარე ჩემპიონატის ფინალში 8 საბჭოთა სპორტსმენი გავიდა. ნახევარფინალში კიდევ ერთი სენსაცია მოხდა: ო. გრიგორიევის დამარცხების შემდეგ წაგების სიმწარე ამჯერად იგემა ევროპის ჩემპიონმა მსუბუქ წონაში ვ. ბარანიკოვმა. მას ქულებით სძლია უნგრელმა დიულამ.

◆ ბუდაპეშტი, 24 სექტემბერი. მსოფლიო ჩემპიონატის წინ თანამედროვე ხუთჭიდის უნგრელმა ოსტატებმა კიდევ ერთი გამარჯვება იზეიმეს. ბულგარეთის, პოლონეთის, საფრანგეთისა და ადგილობრივ ათლეტთა შეჯიბრებაში ცნობილმა უნგრელმა ხუთჭიდელმა ო. ტიორიოკმა სპორტსაზოგადოება „ჰონვედის" თასი მოიპოვა. მან 4802 ქულა დააგროვა. ამასთან გასათვალისწინებელია, რომ მძლეოსნური კროსის ტრასა ძალზე რთული იყო. ვერც ერთმა მონაწილემ ვერ შეძლო ამ სახეობაში 1000 ქულის მოპოვებაც კი.

◆ **მოსკოვი, 24 სექტემბერი. ბრწყინვალე მიღწევა აჩვენა დოსააფის მფრინავმა მ. სოლოვიოვამ. ზებგერით სერიულ რეაქტიულ გამანადგურებლით (ე-76) 500-კილომეტრიან დახშულ მარშრუტზე მან საათში საშუალოდ განავითარა 2045 კმ სისწრაფე. ეს ბევრად აღემატება მსოფლიოს ოფიციალურ რეკორდს, რომელიც 1964 წლიდან ეკუთვნოდა ამერიკელ ჟ. კოკრანს.**

◆ **კიევი, 24 სექტემბერი.** აქ მიმდინარე სსრ კავშირის პირად-გუნდურ პირველობაზე წყალში ხტომაში დღეს გამოვლინდა 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ჩემპიონის ოქროს მედლის მფლობელი. ესაა მოსკოველი სპორტსმენი ვ. ვასინი.

## ცისფერ „მინდორზე"

◆

### დაიწყო II წრის მატჩები

◆

**ბათუმი, 24 სექტემბერი (ტელეფონით, ჩვენი კორ.).** „სპარტაკის" საცურაო აუზში დაიწყო სსრ კავშირის ჩემპიონატის II წრის მატჩები „ა" კლასის წყალბურთელთა გუნდებს შორის.

მოგვყავს ამ დღის შეხვედრათა ტექნიკური შედეგები: სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური სპორტკლუბი (მოსკოვი) — კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილია (ბაქო) 5:3, მოსკოვის უნივერსიტეტი — „შრომითი რეზერვები" (მოსკოვი) 5:4, „დინამო" (თბილისი) — „ტრუდი" (მოსკოვის ოლქი) 8:7.

**წყალბურთი**

## „ოქროს" მფლობელი



ვ. ჩასლავსკა

●

## ლენინგრადელის „ვერცხლი"



ნ. კუჩინსკაია

●

## საღამოს მოლოდინში

**დორტმუნდი, 24 სექტემბერი.** ტანმოვარჯიშეთა მსოფლიო ფორუმზე საბჭოთა სპორტსმენმა ქალებმა ბრწყინვალედ შეასრულეს ნებისმიერი პროგრამა და მრავალჭიდში 383,578 ქულა დააგროვეს. ჩვენების დღევანდელი შედეგია 192,229 ქულა.

ლენინგრადელმა სტუდენტმა, 17 წლის ნ. კუჩინსკაიამ შესანიშნავად ივარჯიშა და 78,097 ქულა დაიმსახურა. ამით მან რთული ამოცანის წინაშე დააყენა ოლიმპიური ჩემპიონი, ჩეხოსლოვაკიელი ვ. ჩასლავსკა, რომელიც სავალდებულო პროგრამის შემდეგ ლიდერობს. იგი საღამოს გამოვა და მხოლოდ შემდეგ გაირკვევა მსოფლიოს ახალი აბსოლუტური ჩემპიონის ვინაობა. ჯერჯერობით II ადგილზეა იაპონელი იკედა — 76,997 ქულა, ხოლო III — ლ. პეტრიკი (სსრ კავშირი) — 76,366 ქულა.

## ვ. ჩასლავსკამ აჯობა მეტოქეებს

დორტმუნდი, 24 სექტემბერი. **დღეს საღამოს ცნობილი განდა ქალთა ასპარეზობის როგორც გუნდურ, ისე პირად ჩათვლაში გამარჯვებული: პირადში — ვ. ჩასლავსკა — 78,307 ქულა, ხოლო გუნდურში — ჩეხოსლოვაკიელთა ნაკრები — 383,625 ქულა.**

## ფეხბურთი

### გუშინ...

ჩვენი რესპუბლიკის გუნდებს კალენდარული მატჩები ჰქონდათ სსრ კავშირის პირველობაზე. ბათუმის დინამოელები **ლენინაკანში** ეთამაშნენ ადგილობრივ „შირაკს". მატჩის შედეგია 2:0 მასპინძელთა სასარგებლოდ.

### „ა" კლასი II ჯგუფი

**გროზნოში** ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „თერგი" და თბილისის „ლოკომოტივი". თამაში დამთავრდა საქართველოს დედაქალაქის ფეხბურთელთა გამარჯვებით — 1:0.

# ფინიშამდე ერთი ნაბიჯია

დასასრულს უახლოვდება „განთიადის" რესპუბლიკური სპარტაკიადა, რომელიც შოთა რუსთაველის იუბილეს მიეძღვნა, ჩემპიონები გამოვლინდნენ პროგრამის თითქმის ყველა სახეობაში. გრძელდება მხოლოდ ფეხბურთელთა ტურნირი, რომლის დამთავრების შემდეგ შეჯამდება საერთო-გუნდური შედეგები. მოგითხრობთ, როგორ მიმდინარეობდა ფინალური ბრძოლები დანარჩენ სახეობებში.

### ჩემპიონობისთვის ყაიმიც საკმარისი აღმოჩნდა

ელექტრომრეწველობისა და ქვანახშირის მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირების მოჭადრაკეთა გუნდების ფინალური მატჩი დაძაბული გამოდგა. გამარჯვებული ოთხსაათიანმა ორთაბრძოლამაც ვერ გამოავლინა — 1,5:1,5. დაფაზე, რომელსაც აღნიშნული გუნდების კაპიტნები — ქუთაისელი ხარატი, ოსტატობის კანდიდატი ა. რაზოვსკი და ტყვარჩელის მე-5 შახტის თანამშრომელი, ოსტატობის კანდიდატი ა. ბრეიტმანი უსხდნენ, მდგომარეობა კვლავ გაურკვეველი იყო. პარტია გადაიდო. მისი განახლების შემდეგ კი აფხაზეთის არაერთგზის ჩემპიონმა ბრეიტმანმა საყაიმო გზა მონახა და მიზანს მიაღწია. ამრიგად, ფინალისტთა მატჩი ყაიმით (2:2) დამთავრდა. მაშინ მსაჯებმა ამ გუნდების მიერ ადრე ჩატარებულ შეხვედრათა შედეგები მოიშველიეს — უკეთესი მდგომარეობა ქვანახშირის მრეწველობის მუშაკებს აღმოაჩნდათ და ჩემპიონობაც მათ მიეკუთვნათ.

III ადგილზე გავიდნენ მანქანათმშენებლობის მუშაკთა პროფკავშირის მოჭადრაკეები, რომლებმაც გადამწყვეტი შეხვედრა მოუგეს ნავთობისა და ქიმიური მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის გუნდს — 3,5:0,5.

### გაუძლეს და გაიმარჯვეს

ხშირია შემთხვევა, რომ საპასუხისმგებლო შეჯიბრებაში ძლიერი გუნდიც კი კარგავს თამაშის ჩვეულ სტილს, უშვებს შეცდომებს და ზედმეტი ნერვულობის გამო ზოგჯერ მარცხდება კიდეც. საბედნიეროდ, ეს არ მოხდა ელექტრომრეწველობისა და საფეიქრო მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირების ფრენბურთელ ვაჟთა გუნდების ფინალურ შეხვედრაში. მეტოქეები მახვილგონივრულად თამაშობდნენ, ხშირად ასრულებდნენ ზუსტ ბლოკირებას, ძლიერად ურტყამდნენ. პირველი პარტია რომ ელექტრომრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის გუნდის სასარგებლოდ დამთავრდა (15:10), გულშემატკივართა სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. შეკრებილთ მეორე პარტიაში უფრო მეტი მღელვარების გადატანა მოუხდათ: ფეიქრებმა მეტოქეს მძლავრი იერიში დაატეხეს თავს, მაგრამ ელექტრიკოსებმა მალე გაათანაბრეს თამაში და პარტია გამარჯვებამდე (16:14) მიიყვანეს. III ადგილი მანქანათმშენებლობის მუშაკთა პროფკავშირის ფრენბურთელებმა დაისაკუთრეს.

ქალთა ტურნირში ყველას აჯობა ქვანახშირის მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის ნაკრებმა, რომელმაც გადამწყვეტ ბრძოლაში დაამარცხა სპორტკლუბ „განთიადის" გუნდი — 2:1. III ადგილზე გავიდნენ ფეიქრები.

მიუხედავად იმისა, რომ პროფკავშირების ფრენბურთელთა გუნდებს ტექნიკური და ტაქტიკური არსენალის ერთგვარი გამდიდრება ეტყობათ, მაინც შეიმჩნეოდა ზოგიერთი კოლექტივის ერთფეროვანი და გაუბედავი თამაში.

### ვეტერანების უპირატესობით

მოჭადრაკეთა ტურნირის ერთ-ერთ ქვეჯგუფში გაიმარჯვა და ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვა ყველაზე ახალგაზრდულმა კოლექტივმა — კვების მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის გუნდმა. ფინალში ახალგაზრდები სპორტკლუბ „განთიადის" წარმომადგენლებს შეხვდნენ, ვეტერანების წინაშე „შეკრთნენ" და გამარჯვება „დათმეს" — 0,5:2,5. ელექტრომრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის მოთამაშეებმა III ადგილი დაიკავეს.

აღსანიშნავია 13 წლის თელაველი მოსწავლის მანანა ბურჯალიანის (კვების მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირი) წარმატება. გოგონა თამაშობდა კომბინაციურად, იოლად ხვდებოდა მეტოქეთა ჩანაფიქრს და შესანიშნავ კონტრსვლებს აგებდა.

### ფრიადზე

კალათბურთელთა ტურნირში (გაიმართა რუსთავში) გამოცდა ფრიადზე ჩააბარეს ნავთობისა და ქიმიური მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის გუნდის წევრებმა, რომლებმაც არა თუ გაუძლეს სპორტკლუბ „განთიადის" გამოცდილი კოლექტივის იერიშებს, არამედ მეტოქეს კიდეც მოახვიეს თავს თამაშის საკუთარი მანერა, მატჩი მოიგეს (58:46) და ჩემპიონობა მოიპოვეს.

ვაჟთა გუნდებში III ადგილისთვის ერთმანეთს შეხვდნენ მეტალურგიული მრეწველობისა და ელექტრომრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის გუნდები. მატჩს უამრავი მაყურებელი დაესწრო. ისინი შეხვედრაზე მიიზიდა მეტალურგიული ქარხნის მუშის, გუნდის მწვრთნელისა და წევრის ნ. ლუზანის თამაშმა. ლუზანმა მართლაც გაამართლა თავშეყრილთა იმედი. შეხვედრა მოიგეს მეტალურგებმა — 50:49.

ქალებში ჩემპიონობა მოიპოვა ქვანახშირის მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის გუნდმა, რომელმაც ფინალში დაამარცხა ფეიქრები —44:39. III იყო მენავთობეთა კოლექტივი.

### კასპის სარბიელზე

ტურნირი ქართულ ჭიდაობაში კასპის სარბიელზე გაიმართა. ჩემპიონობას ერთმანეთს ეცილებოდნენ ელექტრო და მეტალურგიული მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირების ნაკრები გუნდები. განთიადელ სპორტსმენთა ამ ორი უძლიერესი კოლექტივის დუელი ელექტრომრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის სპორტსმენებმა მოიგეს. მშენებლობის მუშაკთა პროფკავშირის გუნდი III ადგილზე გავიდა.

### ტურნირი გრძელდება

ფეხბურთელთა ასპარეზობაში მსუბუქი და საფეიქრო მრეწველობის პროფკავშირთა ნაკრებმა დამაჯერებელი ანგარიშით (5:1) დაამარცხა მშენებლობის მუშაკთა პროფკავშირის კოლექტივი.

დაძაბული იყო მეტალურგების და ხე-ტყისა და ქაღალდის მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირების გუნდების მატჩი. მეტყევეებმა მინიმალური ანგარიშით გაიმარჯვეს — 3:2. ამ ძნელი შეხვედრის მიუხედავად, ისინი მეორე დღეს ისევ გამოვიდნენ მინდორზე და გაიმარჯვეს. ამჯერად მათი „მსხვერპლი" გახდა ქვანახშირის მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის კოლექტივი — 2:1.

მეტალურგებმა დაამარცხეს მენავთობეები — 3:2, ხოლო მანქანათმშენებლებმა — ელექტრიკოსები — 2:1.

მსუბუქი და საფეიქრო მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის გუნდის მატჩი კვების მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის ფეხბურთელებთან პირველთა გამარჯვებით დამთავრდა — 2:1.

ვ. ბუკია.

* * *





სურათებზე: მარცხნივ — კალათბურთელთა ტურნირის ერთ-ერთი მომენტი; მარჯვნივ — ვაჟთა შორის სიმაღლეზე ხტომაში გამარჯვებული ნ. საგანელიძე ასპარეზობისას.

ფოტო რ. გაბრიჭიძისა.

## V–VIII ადგილებისთვის

ჩერკასი, 23 სექტემბერი (ფოტოდეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). სოფლის სპორტსმენთა III საკავშირო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულმა შეჯიბრებამ ფრენბურთში საქართველოს გუნდს ფინალის გზა გადაუკეტა. ქალები ხვდებოდნენ ბელორუსიის „უროჟაის". ესტონელი მსაჯი რომ არა, ამ თამაშის მოგება შეიძლებოდა (საერთო გუნდურ ჩათვლაში ესტონეთი ჩვენი მთავარი მეტოქეა), მაგრამ ჩვენებმა შეხვედრა წააგეს — 2:3 (13:15, 15:1, 12:15, 15:9, 17:19).

ამრიგად, საქართველოს ქალთა გუნდი V-VIII ადგილებისთვის ითამაშებს. მასთან არიან ლიტვის „ნემუნასი", უზბეკეთის „პახტაკორი" და ესტონეთის „იიუდი".

როგორც მოსალოდნელი იყო, რსფსრ-ს „უროჟაისთან" დამარცხდნენ ჩვენი ფრენბურთელი ვაჟები. შეხვედრის ანგარიშია 3:1 (15:13, 15:9, 10:15, 15:6). ახლა ვაჟთა გუნდიც V-VIII ადგილებისთვის იბრძვის სომხეთის „სევანის", ბელორუსიის „უროჟაისა" და ყაზახეთის „კაირატის" კოლექტივებთან ერთად.

ჩვენმა ფრენბურთელებმა უკვე გამართეს პირველი მატჩები V-VIII ადგილებისთვის მებრძოლთა ჯგუფში. ქალებმა მოუგეს უზბეკეთის „პახტაკორს" — 3:1 (15:9, 15:7, 7:15, 15:13). „ნემუნასისა" და „იიუდის" მატჩი ესტონელთა გამარჯვებით დამთავრდა — 3:0.

ვაჟებმა კარგად ითამაშეს „სევანთან" და შეხვედრა მოიგეს „მშრალი" ანგარიშით — 3:0 (15:12, 15:8, 15:6). „კაირატმა" მოუგო „უროჟაის" — 3:1.

სტარტი აიღეს მძლეოსნებმაც. იმ დღის გმირი იყო უკრაინელი სპორტსმენი, 26 წლის ა. ბონდარჩუკი, რომელმაც სპარტაკიადის პირველი რეკორდი დაამყარა და ჩემპიონობა მოიპოვა. მისმა ნატყორცნმა ურომ 65,03 მეტრი იფრინა, რაც თითქმის 3 მეტრით აჭარბებს კოლმეურნე-სპორტსმენთა წინანდელ მიღწევას. II ადგილზე გავიდა ბონდარჩუკის თანაგუნდელი კლევანი — 57,80 მ.

ფრენბურთელთა ფინალურ ასპარეზობაში (I ჯგუფი) გაიმართა 2 შეხვედრა. უკრაინის „კოლგოსპნიკმა" მოუგო ლიტვის „ვარპას" — 3:0, ლატვიელმა ქალებმა წააგეს რსფსრ-ს „უროჟაისთან" — 1:3.

ჯ. ენუქიძე.

# ჩემპიონატის დაბადება

ამ ბოლო წლებში რეგბმა თანდათან დამაჯერებლად მოიკიდა ფეხი საბჭოთა ახალგაზრდობაში. ამჟამად ჩვენს ქვეყანაში რეგბის 200 საკლუბო გუნდი ითვლება. მათში ჩაბმულია ამ სახეობის ათასობით მოყვარული.

აღსანიშნავია საბჭოთა რეგბის პირველი ნაბიჯები საერთაშორისო სარბიელზე. ვარშავაში გამართულ საერთაშორისო ტურნირში პოლონეთის, იუგოსლავიისა და ჩეხოსლოვაკიის კოლექტივებთან ერთად მონაწილეობა მიიღო მოსკოვის „კრილია სოვეტოვის" გუნდმაც და პირველობა მოიპოვა. პოლონელებმა მოსკოვში რევანში ვერ აიღეს. წლეულს სსრ კავშირში სტუმრად იყვნენ გდრ-ისა და ჩეხოსლოვაკიის რეგბისტები, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს რიგის ვეფ-ის მიერ დაწესებული თასის გათამაშებაში. როგორც ცნობილია, თასი ჩეხოსლოვაკიელებმა დაისაკუთრეს.

თუ წინათ რეგბისტთა შეჯიბრებები ცალკეული მოკავშირე რესპუბლიკების, ქალაქებისა და სხვადასხვა სპორტული საზოგადოების ჩემპიონთა გამოსავლენად იმართებოდა, წლეულს პირველად მოეწყობა სსრ კავშირის ჩემპიონატი, რომელშიც 28 გუნდი იასპარეზებს. მონაწილენი ოთხ ქვეჯგუფად დაიყვნენ.

I ქვეჯგუფის თამაშები ლენინგრადში ჩატარდება. მათში მონაწილეობას

### საბჭოთა კავშირის პირველობა რეგბში

მიიღებენ ლენინგრადის „ბურევესტნიკი" და „სპარტაკი", რიგის „დაუგავა" და კაუნასის „ჟალგირისი"; II ქვეჯგუფს ქმნის მოსკოვის 8 გუნდი; III ქვეჯგუფს — უკრაინის 12 გუნდი; IV ქვეჯგუფში გამოვლენ თბილისის „დინამო" და „ლოკომოტივი", ერევნის „დინამო" და კუიბიშევის „ტრუდი". ამ ქვეჯგუფის თამაშები ჩატარდება სამტრედიაში 27 სექტემბრიდან.

ფინალში გადის ქვეჯგუფებში გამარჯვებული თითო გუნდი.

ჩვენთვის უფრო საინტერესოა IV ქვეჯგუფის შემადგენლობა.

ჩვენი მეტოქე — კუიბიშევის „ტრუდი" ფიზიკურად კარგად მომზადებული, ძალისმიერი, მრავალ ტურნირში გამოცდილი გუნდია. იგი რსფსრ-ს 1965 წლის ჩემპიონია. თბილისის რეგბისტები „ტრუდს" არასოდეს შეხვედრიან და ამიტომ იგი ჩვენთვის ყველაზე დიდ გამოცანას წარმოადგენს.

ერევნის „დინამო" სომხეთის 1966 წლის ჩემპიონია. ეს არის ახალგაზრდული გუნდი, რომელსაც წლეულს სათავეში ჩაუდგა მოსკოველი მწვრთნელი ა. ლარიონოვი. მისი ხელმძღვანელობით კოლექტივი შესამჩნევად დაოსტატდა. თბილისის „დინამო" ორჯერ შეხვდა ამ გუნდს (ერევანსა და თბილისში), ხოლო „ლოკომოტივი" — ერთხელ (თბილისში). სამივე თამაში ჩვენი დედაქალაქის რეგბისტებმა მოიგეს. ერევნელი სპორტსმენები ამჟამად მოსკოვში არიან საწვრთნელ შეკრებაზე. იქ მათ რამდენიმე მატჩი ჩაატარეს ადგილობრივ გუნდებთან.

თბილისის წლევანდელი ჩემპიონი — „დინამო" მაღალტექნიკური, კარგად მომზადებული გუნდია. ბოლო 4 წლის მანძილზე იგი თითქმის ერთიდაიგივე შემადგენლობით ასპარეზობს. მაღალტექნიკური თამაშით განსაკუთრებით გამოირჩევიან ი. კიზირია, ზ. მგელაძე, მ. კვინიხიძე, ს. აროიანი, რ. კეთილაძე, ნ. ენდელაძე, ვ. აკოფოვი, მ. თოფურიძე და სხვ.

რაც შეეხება თბილისის „ლოკომოტივს", ამ ახალგაზრდული კოლექტივის ისტორია შარშან დაიწყო, როცა მისმა წევრებმა ყველასთვის მოულოდნელად ხერსონში მოიპოვეს „ლოკომოტივის" ცენტრალური საბჭოს ჩემპიონობა მოსკოვის, კაუნასისა და კიევის ძლიერ გუნდებთან შეჯიბრებაში. მას შემდეგ თბილისელთა კოლექტივი საგრძნობლად გადახალისდა, — მას შეემატნენ ახალგაზრდა, პერსპექტიული მოთამაშეები. წლეულს გუნდმა II ადგილი დაიკავა თბილისის პირველობაში და გამარჯვებით დააგვირგვინა შეხვედრები მოსკოვისა და ერევნის დინამოელებთან, მოსკოვის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის კოლექტივთან. ჩემპიონატისთვის მზადების პერიოდში „ლოკომოტივმა" 3 ამხანაგური მატჩი ჩაატარა ხარკოვში და სამივე მოიგო: ადგილობრივ თანაკლუბელებთან — 39:9, „ავანგარდთან" — 28:11 და ქალაქის ნაკრებთან — 22:6.

გ. ტონია,
თბილისის „ლოკომოტივის" მწვრთნელი.

### IV ქვეჯგუფის გათამაშების კალენდარი

**27 სექტემბერი**

„ლოკომოტივი" (თბილისი) — „დინამო" (ერევანი),
„დინამო" (თბილისი) — „ტრუდი" (კუიბიშევი).

**29 სექტემბერი**

„ლოკომოტივი" (თბილისი) — „ტრუდი" (კუიბიშევი),
„დინამო" (თბილისი) — „დინამო" (ერევანი).

**1 ოქტომბერი**

„დინამო" (ერევანი) — „ტრუდი" (კუიბიშევი),
„დინამო" (თბილისი) — „ლოკომოტივი" (თბილისი).

# ფავორიტს უჭირს

ზაპოროჟიე, 23 სექტემბერი. ხანმოკლე შესვენების შემდეგ აქ განახლდა ხელბურთელ ქალთა V საკავშირო ჩემპიონატი. ჩვენი ქვეყნის ოთხგზის ჩემპიონმა — მოსკოვის „ლუჩმა" პირველ წრეში ლიდერობა „დაუთმო" კაუნასის „ჟალგირისს", რომელსაც 10 ქულა აქვს. მოსკოველებს თითო ქულით ჩამორჩებიან III და IV ადგილებზე მყოფნი ბაქოს „სპარტაკი" და ჩერკასის „ბურევესტნიკი" (7-7 ქულა). როგორც სპეციალისტები ვარაუდობენ, სწორედ ამ კვარტეტის ერთ-ერთი წარმომადგენელი უნდა გახდეს სსრ კავშირის ჩემპიონი, მაგრამ კონკრეტულად გამარჯვებულის დასახელება ყველას უჭირს, ვინაიდან „ლუჩს" სათამაშო აქვს „ჟალგირისთან" და ისეთ ძლიერ მეტოქეებთან, როგორიც არიან ბაქოსა და კიევის „სპარტაკი", აგრეთვე, ჩერკასის „ბურევესტნიკი".

რაც შეეხება აუტსაიდერებს, საგაისოდ I ჯგუფის დატოვების საფრთხე ემუქრებათ ტაშკენტის „ტექსტილშჩიკსა" (მან პირველი წრე უქულოდ დაამთავრა) და ლენინგრადის „ბურევესტნიკს" (პირველ წრეში მხოლოდ 1 ქულა მოიპოვა).

ლიდერები კვლავ მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდნენ. კაუნასის „ჟალგირისმა" დიდი ანგარიშით (15:8) მოუგო „დაუგავას", მოსკოვის „ლუჩმა" — ვილნიუსის „სტატიბას" — 17:9, ხოლო ჩერკასის „ბურევესტნიკი" დამარცხდა კიევის „სპარტაკთან" — 11:14. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სატურნირო ცხრილში ერთ დონეზე მყოფი გუნდების — სვერდლოვსკის „ტრუდისა" და კრასნოდარის „ბურევესტნიკის" მატჩს. გაიმარჯვეს ურალელებმა—13:5. ლენინგრადის „ბურევესტნიკისა" და ოდესის „ლოკომოტივის" შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 10:10.

II ტურში „ჟალგირისმა" მოუგო ლენინგრადის „ბურევესტნიკს" — 11:6, „ლუჩმა" — „ტექსტილშჩიკს" — 17:7, „სტატიბამ" — „დაუგავას" — 13:7, კიევის „სპარტაკმა" — კრასნოიარსკის „ბურევესტნიკს" — 14:10, ჩერკასის „ბურევესტნიკმა" — „ლოკომოტივს" — 16:9. ბაქოს „სპარტაკისა" და „ტრუდის" შეხვედრა ფრედ დამთავრდა — 5:5.

III ტურის შეხვედრათა შედეგები ასეთია: „ლოკომოტივი" — „ბურევესტნიკი" (კრასნოიარსკი) 14:7, „ბურევესტნიკი" (ლენინგრადი) — „სტატიბა" 7:6, „ტექსტილშჩიკი" — „დაუგავა" 13:9, „ლუჩი" — „ტრუდი" 7:7, „სპარტაკი" (ბაქო) — „სპარტაკი" (კიევი) 9:9, „ჟალგირისი" — „ბურევესტნიკი" (ჩერკასი) 15:10.

# ვორონინის ტრიუმფი

დორტმუნდი, 23 სექტემბერი. იაპონელები პირველ დღეს გუნდურ ასპარეზობაში მოპოვებულ უპირატესობას რომ შეინარჩუნებდნენ, დღევანდელი შეჯიბრების პირველივე წუთებიდან გახდა ცნობილი. სტარტზევე, ნებისმიერი ვარჯიშის შესრულებისას, ტაიჭზე „დაჯდა" შახლინი და ამით მთელი ქულა დაკარგა. ასევე დაემართა დიომიდოვსაც. ეს განსაკუთრებით საწყენი იყო, ვინაიდან მას საპრიზო ადგილზე გასვლის დიდი შანსი ჰქონდა. ტიტოვის, კერდემელიძისა და კარასიოვის შედეგებიც ძალზე საშუალო იყო — 9,4 ქულა. და მხოლოდ ვორონინმა შეძლო „შური ეძია" მეგობართა წარუმატებლობისთვის.

იგი ყოველი იარაღიდან სულ უფრო უკეთეს შედეგებს წურავდა. დარბაზში მყუდროება გამეფდა, როცა ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უძლიერესი მოვარჯიშე რგოლებზე თავსატეხ პირუეტებს აკეთებდა. არბიტრებმა მხოლოდ 0,1 ქულის „ართმევა" შეძლეს უმაღლესი შეფასებიდან. ეს იყო ვორონინის წარმატების კულმინაციური წერტილი. ასევე ბრწყინვალედ გამოვიდა იგი დანარჩენ იარაღებზეც.

— განსაკუთრებით ტაიჭზე ვარჯიშისა მეშინოდა, — თქვა შეჯიბრების შემდეგ ვორონინმა, — მაგრამ ყველაფერმა კარგად ჩაიარა. აველდი ბჯენითი ხტომის წინაც, მაგრამ მეორე ცდაზე უკვე ვფლობდი თავს. მეწყინა, რომ ჩემს საუკეთესო მეგობარს სერგეის არ გაუმართლა. მანამდე მეგონა, რომ ჩემპიონობას ან ის მოიპოვებდა, ან ცურუმი, რომელიც იაპონელებში ყველაზე მეტად მომწონს. ჩემი აზრით, დიომიდოვმა ტაიჭზე მარცხის შემდეგ ვერ შეძლო ძალების მოკრება. მხოლოდ ორძელზე იყო იგი ტრადიციულად შეუდარებელი.

საბჭოთა ტანმოვარჯიშეები დარბაზს რომ ტოვებდნენ, ვორონინი გულშემატკივართა ხვევნა-კოცნას ვერ აუვიდა. აქვე იყვნენ ავტოგრაფების მოყვარულებიც. ვორონინს სახეზე დასთამაშებდა მოკრძალებული ღიმილი. ძლივს ასწრებდა პასუხის გაცემას უთვალავ კითხვაზე.

... დაიბადა მოსკოვში 1945 წლის 26 მარტს. უყვარდა ფეხბურთი. მისი სპორტული გზა „დინამოს" სკოლიდან დაიწყო. აქ იგი, როგორც ტანმოვარჯიშე, მწვრთნელმა მ. ბალაშოვმა „აღმოაჩინა". მაშინ მიხეილი 14 წლისა იყო. 4 წლის შემდეგ მისი აღმზრდელი ე. ბელიაევი გახდა, ხოლო ახლა, ნაკრებში ე. კოროლკოვი წვრთნის. მიხეილი ფიზკულტურის ინსტიტუტის II კურსის სტუდენტია.



მ. ვორონინი

მეგობრული შარჟი სპორტის ოსტატ ჯ. კვანტალიანისა.

როგორ გამოვიდნენ სხვები? ჩვენმა მეორე იმედმა — ს. დიომიდოვმა ნერვებთან ბრძოლას ვერ გაუძლო... სსრ კავშირის აბსოლუტურმა ჩემპიონმა მაინც შეძლო მეორე შედეგი ეჩვენებინა საბჭოთა ტანმოვარჯიშეებს შორის — 113,25 ქულა.

თანაბრად გამოვიდნენ ვეტერანები — ი. ტიტოვი და ბ. შახლინი. ოღონდ ესაა, მათ ვარჯიშს ძველებური ბრწყინვალება აღარ ახლდა. პირველის შედეგია 112,75, მეორისა — 111,85 ქულა.

ჭაბუკური სიფიცხით ჩააბარა ძნელი გამოცდა ჩვენი ქვეყნის ნაკრების ყველაზე ახალგაზრდა მონაწილე ვ. კარასიოვმა. ეს ქერა, მხიარული ჭაბუკი შეუყვარდათ მაყურებლებსაც და მსაჯებსაც. დღეს მან მხოლოდ ერთხელ წაიფორხილა ორძელზე. კარასიოვის შედეგია 112,20 ქულა. ეს მხოლოდ 0,7 ქულით ჩამორჩება ვ. კერდემელიძის მაჩვენებელს.

ეს დღე დიდხანს ემახსოვრებათ სპორტის თაყვანისმცემლებს. მათ არა თუ მსოფლიოს ახალი ჩემპიონი გაიცნეს, დარწმუნდნენ, რომ მთელ მსოფლიოში უძლიერეს ტანმოვარჯიშეთა კოლექტივი იაპონელებს ჰყავთ (იაპონელებმა მოაგროვეს 575,157 ქულა. II ადგილზე გასულ საბჭოთა გუნდს 570,90 ქულა აქვს). არ შეიძლება ითქვას, რომ ამომავალი მზის ქვეყნის წარმომადგენლებმა დორტმუნდი უახლესი ვარჯიშით გააკვირვეს. მათი არსენალი ამჯერადაც თითქმის იგივე იყო, რაც ტოკიოში. მაგრამ ორი აზრი იაპონელთა ოსტატობაზე არ არსებობს — იგი ბრწყინვალეა. ახლახან იაპონიის მწვრთნელად დანიშნულმა, ფსიქოლოგიის პროფესორმა ა. კანეკომ, როგორც ჩანს, სწორი გზა აირჩია: გადაწყვიტა „ულტრა" და ურთულეს კომბინაციებს არ გამოსდევნებოდა და უკვე ათვისებული ილეთების სრულყოფასა და დახვეწაზე ეფიქრა. ალბათ, სწორედ ამან განაპირობა ის გარემოება, რომ იაპონელებმა მხოლოდ ერთხელ მიიღეს 9 ქულაზე ნაკლები შეფასება. ეს მარცხი შეემთხვა ენდოს ტაიჭზე ვარჯიშისას.

განსაკუთრებით გაგვაოცეს იაპონელებმა ღერძიდან და ორძელიდან შესანიშნავი ჩამოხტომით. დიდი ოსტატობა გამოიჩინეს რგოლებზეც, თუმცა ჩვეულებრივ ისინი არც ისე ძლიერად გამოდიოდნენ ხოლმე ამ იარაღზე. რაც შეეხება ბჯენით ხტომებს, აქ იაპონელებმა თითქოს პირი შეკრესო, — ყველამ 9,5 ქულა და უფრო მაღალი შეფასება დაიმსახურა. სწორედ ამ სახეობაში მოგვიგეს მათ 0,9 ქულა.

ყველაზე წარმტაცი იყო იაპონელთა ვარჯიში ღერძზე. ისინი სწრაფ ტემპში ასრულებდნენ თითქმის შეუძლებელ ილეთებს, ხოლო ჩამოხტომისას ორმაგ და ხანდახან სამმაგ სალტოსაც კი. მათგან საუკეთესოს დასახელება ძნელია, — უბრალოდ, ყველა კარგი იყო. ენდომ, ნაკაიამამ, კატომ და მიცუკურიმ დიდოსტატის ნორმას — 114 ქულას გადააჭარბეს, ხოლო ელეგანტურმა ტანმოვარჯიშე ცურუმიმ 115,25 ქულა დააგროვა. მხოლოდ მატსუდამ მიიღო 113,85 ქულა.

ი. ტიტოვმა თქვა:

— იაპონელებს რომ მოუგო, გუნდში დიომიდოვისა და ვორონინის ტიპის ტანმოვარჯიშეები უნდა გყავდეს. ჩვენ გვაქვს ამის შესაძლებლობა.

სასიამოვნოა, რომ მას შემდეგ, რაც მსოფლიო ჩემპიონის საპატიო სახელი საბჭოთა სპორტსმენთაგან პირველმა ვ. ჩუკარინმა მოიხვეჭა, გამარჯვების ესტაფეტა არ დაგვითმია. იგი გააგრძელა ჯერ შახლინმა, შემდეგ ტიტოვმა და აი, ახლა ვორონინმა. სასიხარულოა, რომ ვორონინს მხარში უდგას ისეთი გამოჩენილი ათლეტი, როგორიც დიომიდოვია. საპატიო წოდება საიმედო ხელშია.

## ახალი ამბები

● კიევი, 23 სექტემბერი. დღეს აქ დაიწყო სსრ კავშირის პირად-გუნდური პირველობა წყალში ხტომაში. ვაჟები 3-მეტრიან ტრამპლინზე ასპარეზობდნენ, ხოლო ქალები — კოშკიდან ხტომაში. 7 ნახტომის შემდეგ დაწინაურდა ვ. ვასინი — 105,6 ქულა. ქალებში 4 ნახტომის შემდეგ წინ არის გ. ალექსეევა — 58,8 ქულა. ჩემპიონები ამ სახეობებში ხვალ გამოვლინდებიან.

● ალმა-ათა, 23 სექტემბერი. დღეს აქ დაიწყო სსრ კავშირის პირად-გუნდური ჩემპიონატი ჩოგბურთში. ტურნირში ჩვენი ქვეყნის ყველა საუკეთესო ათლეტი მონაწილეობს. გუნდური შეჯიბრების პირველ ტურში სსრ კავშირის ჩემპიონმა „დინამომ" გამანადგურებელი ანგარიშით (15:0) მოუგო „ვალგირისს", სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა გუნდისა და „ლოკომოტივის" დუელი არმიელთა გამარჯვებით დამთავრდა — 13:3. „ბურევესტნიკმა" იოლად დაამარცხა „სპარტაკი".

● კიევი, 23 სექტემბერი. ევროპისა (ქალთა) და მსოფლიოს (ვაჟთა) ჩემპიონატებში სსრ კავშირის გუნდების ჩავარდნის მთავარ მიზეზად სპეციალისტებს მეორე ეშელონის უყოლობა მიაჩნიათ. ამ ხარვეზის აღმოფხვრისთვის ნიჩბოსნობის საკავშირო ფედერაციამ სათანადო ღონისძიება დასახა. ერთ-ერთი მათგანია იუნიორთა ტურნირების ჩატარება. და აი, ჭაბუკები, ვაჟთა გუნდებთან ერთად, აქ შეიკრიბნენ. ასპარეზობაში 500 ათლეტი მონაწილეობს. ჭაბუკთა შორის არმიელებმა ისახელეს თავი: მათ ნავების 5 კლასიდან ოთხში გაიმარჯვეს.

● ბურგასი, 24 სექტემბერი. ბულგარეთის ველორბოლის მონაწილეებმა VII და VIII ეტაპები ერთ დღეში გაიარეს. 30-კილომეტრიან ინდივიდუალურ რბოლაში დროზე საუკეთესო იყო ჩეხოსლოვაკიელი სმოლიკი — 40,8 წუთი. ომსკელმა სოკოლოვმა, სოჭელმა საიდხუჟინმა და გორკელმა კულიბინმა შესაბამისად VI, VII და XVII ადგილები დაიკავეს. გუნდურ ჩათვლაში ყველას აჯობეს გდრ-ის მრბოლელებმა. რსფსრ-ს ნაკრები IV იყო. ხანმოკლე შესვენების შემდეგ ველოსიპედისტებმა ქ. ტოლბუხინისკენ აიღეს სტარტი. 140 კმ ყველაზე სწრაფად დაფარა ბულგარელმა კირილოვმა — 3:52.28. ფადეევი (ლიპეცკი), კულიბინი, სოკოლოვი და საიდხუჟინი იმ ჯგუფში იყვნენ, რომელიც გამარჯვებულს 3 წუთით ჩამორჩა. ეს ეტაპი მოიგეს ბულგარელებმა. საბჭოთა სპორტსმენებმა IX ადგილი დაიკავეს. 8 ეტაპის შემდეგ პირად ჩათვლაში ლიდერობს იტალიელი კვალიოტო. ფადეევი XII ადგილზეა. გუნდურ ჩათვლაში ასეთი მდგომარეობაა: 1. ბულგარეთი, 2. იტალია, 3. გდრ, 4. სსრ კავშირი.

# ალა ჩაიკოვსკაია — ფინალში

მოსკოვი, 24 სექტემბერი (ტელეფონით, ჩვენი კორ.). გუშინ სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდიუმმა განიხილა ქალთა XXVI საკავშირო ჩემპიონატის ნახევარფინალების შედეგები და დაამტკიცა ფინალის მონაწილეთა სია. პრეზიდიუმმა ფინალში დამატებით ჩარიცხა საერთაშორისო ოსტატი ა. ჩაიკოვსკაია (თბილისი), რომელმაც კიევის ნახევარფინალში III-IV-V ადგილები გაიყო ნ. ვოიციკსა და ც. კახაბრიშვილთან. საქართველოს ჩემპიონი ც. კახაბრიშვილი დამტკიცებულია ფინალში მონაწილეობის მეორე კანდიდატად. ადვილი შესაძლებელია, რომ საბჭოთა მოჭადრაკეების ამ ზონალურ ტურნირში ც. კახაბრიშვილმაც ითამაშოს (მოსალოდნელია ა. კუშნირისა და ტ. ზატულოვსკაიას უარი, რომლებიც პერსონალურად არიან მიწვეული პრეტენდენტთა ტურნირში).

## ფეხბურთი

სსრ კავშირის პირველობა

გათამაშების ცხრილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

IV ზონა

მდგომარეობა 25 სექტემბრისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) | 31 | 19 | 6 | 6 | 69—32 | 44 |
| „მეტალურგი" (რუსთავი) | 32 | 16 | 7 | 9 | 56—32 | 39 |
| „მეშახტე" (ტყიბული) | 32 | 15 | 8 | 9 | 52—30 | 38 |
| „ლერნაგორცი" (კაფანი) | 31 | 16 | 6 | 9 | 43—30 | 38 |
| „მაშინოსტროიტ." (პიატიგორ.) | 31 | 15 | 9 | 8 | 46—29 | 37 |
| „ცემენტი" (ნოვოროსიისკი) | 31 | 15 | 7 | 9 | 32—23 | 37 |
| „ალაზანი" (გურჯაანი) | 32 | 15 | 5 | 12 | 40—34 | 35 |
| „კოლხიდა" (ფოთი) | 32 | 11 | 11 | 10 | 29—33 | 33 |
| „ლორი" (კიროვაკანი) | 31 | 11 | 11 | 9 | 32—27 | 33 |
| „სპარტაკი" (კისლოვოდსკი) | 31 | 12 | 8 | 11 | 30—30 | 32 |
| „დინამო" (სოხუმი) | 30 | 11 | 9 | 10 | 39—35 | 31 |
| „ტორპედო" (კრიმსკი) | 31 | 14 | 3 | 14 | 29—44 | 31 |
| „ენგური" (ზუგდიდი) | 31 | 12 | 6 | 13 | 41—38 | 30 |
| „დილა" (გორი) | 32 | 11 | 8 | 13 | 27—36 | 30 |
| „ტორპედო" (მაიკოპი) | 31 | 12 | 5 | 14 | 48—35 | 29 |
| „დინამო" (მახაჩყალა) | 32 | 7 | 12 | 13 | 31—44 | 26 |
| „სევანი" (ოქტემბერიანი) | 32 | 9 | 6 | 17 | 39—51 | 24 |
| „არაქსი" (ერევანი) | 32 | 9 | 5 | 18 | 24—46 | 23 |
| „ურალანი" (ელისტა) | 31 | 5 | 9 | 17 | 24—68 | 19 |
| „ტორპედო" (დერბენტი) | 31 | 6 | 5 | 20 | 30—75 | 17 |

## საქართველოს პირველობა

I ჯგუფის II ქვეჯგუფი

### I ზონა

„თრიალეთი" (წალკა) — „ბახტრიონი" (ახმეტა) 0:0, „შირაქი" (წითელწყარო) — „ერეთი" (ლაგოდეხი) 0:1, „დურუჯი" (ყვარელი) — „მეტალურგი" (რუსთავი) 4:1, „გარეჯი" (საგარეჯო) — „არაგვი" (მცხეთა) +:—.

### II ზონა

„ლაითური" (მახარაძე) — „აერო" (გალი) 0:0, „საირმე" (მაიაკოვსკი) — „სულორი" (ვანი) 2:2, „ჩიხურა" (საჩხერე) — „კოლხიდა" (ხობი) 0:1, „ცისარტყელა" (თბილისი) — „ცისკარა" (ბათუმი) +:—.

გათამაშების ცხრილები

მდგომარეობა 20 სექტემბრისათვის

### I ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დურუჯი" (ყვარელი) | 21 | 15 | 3 | 3 | 50—14 | 33 |
| „გარეჯი" (საგარეჯო) | 17 | 12 | 2 | 3 | 31—15 | 26 |
| „ალაზანმშენი" (თელავი) | 18 | 12 | 2 | 4 | 31—22 | 26 |
| „მეტალურგი" (რუსთავი) | 20 | 8 | 5 | 7 | 32—32 | 21 |
| „ჰერეთი" (ლაგოდეხი) | 19 | 8 | 3 | 8 | 24—21 | 19 |
| „არაგვი" (მცხეთა) | 19 | 6 | 6 | 7 | 32—32 | 18 |
| „ბახტრიონი" (ახმეტა) | 18 | 4 | 9 | 5 | 15—20 | 17 |
| „შირაქი" (წითელწყარო) | 18 | 5 | 6 | 7 | 19—26 | 16 |
| „თრიალეთი" (წალკა) | 17 | 5 | 5 | 7 | 10—14 | 15 |
| „სამცხე" (აწყური) | 16 | 4 | 7 | 5 | 21—27 | 15 |
| „არაგვი" (დუშეთი) | 19 | 1 | 3 | 15 | 19—52 | 5 |

### II ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ლაითური" (მახარაძე) | 21 | 13 | 7 | 1 | 29—13 | 33 |
| „აერო" (გალი) | 21 | 12 | 8 | 1 | 37—15 | 32 |
| „სამგურალი" (წყალტუბო) | 21 | 11 | 6 | 4 | 40—25 | 28 |
| „კოლხიდა" (ხობი) | 21 | 10 | 5 | 6 | 36—21 | 25 |
| „სულორი" (ვანი) | 20 | 8 | 8 | 4 | 27—20 | 24 |
| „სალხინო" (გეგეჭკორი) | 21 | 9 | 6 | 6 | 25—32 | 24 |
| „ცისარტყელა" (თბილისი) | 21 | 11 | 0 | 10 | 29—26 | 22 |
| „ზემო ქართლი" (ხაშური) | 20 | 8 | 5 | 7 | 38—27 | 21 |
| „საირმე" (მაიაკოვსკი) | 21 | 7 | 6 | 8 | 35—33 | 20 |
| „ჩიხურა" (საჩხერე) | 22 | 7 | 5 | 10 | 32—35 | 19 |
| „კოლხიდმშენი" (ფოთი) | 22 | 4 | 3 | 15 | 26—46 | 11 |
| „მშენებელი" (ჭიათურა) | 21 | 4 | 1 | 16 | 22—54 | 9 |
| „ცისკარა" (ბათუმი) | 22 | 2 | 2 | 18 | 11—40 | 6 |





საქართველოს მოცურავეთა ჩემპიონატში, რომელიც ამას წინათ ბათუმში გაიმართა, სპორტსმენებმა მაღალი შედეგებით ვერ გაგვახარეს, მაგრამ რამდენიმე მონაწილემ შედარებით დამაკმაყოფილებლად იასპარეზა. მაგალითად, 100 მეტრზე ბრასითა და ზურგზე ცურვაში გამარჯვებულებმა მ. ზამბახიძემ (მარცხენა სურათზე) და ნ. ჯუმბაძემ I თანრიგზე გაცილებით უკეთესი მაჩვენებლები მოიპოვეს.

ფოტო ა. ჩანტლაძისა.

Спортен Спорт · Sport · SPORTSKE NOVOSTI · Népsport · PRZEGLĄD SPORTOWY

კრივის ცნობილ სპეციალისტთა აზრით, მოჰამედ ალი (კასიუს კლეი) მსოფლიოს ყველა დროის საუკეთესო მოკრივედ უნდა მივიჩნიოთ. ისინი ამტკიცებენ, რომ ეს სპორტსმენი ოსტატობით აღემატება სახელგანთქმულ ჯ. ლუისსა და რ. მარჩიანოს. მოჰამედ ალის პროფესიულ რინგზე მართლაც ფენომენალური შედეგები აქვს მოპოვებული. ამერიკის შეერთებულ შტატებში მას რინგის დემონს უწოდებენ.

თვად მოკრივის აზრით, ბრძოლის მოგება მას ყველაზე მეტად გაუჭირდა გერმანელ კ. მილდენბერგერთან და იგი მომავალში ყველაზე სერიოზულ მეტოქედ მიაჩნია.

მსოფლიოს აბსოლუტურ ჩემპიონს პროფესიულ რინგზე სულ 26 ბრძოლა აქვს მოგებული, აქედან 21 — ნოკაუტით, ხოლო 5 — ქულებით. აი, როგორია მოჰამედ ალის ოფიციალურ შეხვედრათა ბალანსი 1960 წლიდან დღემდე.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1960 წ. | ლუისვილი | ტ. ხუნსაკერი | ქულებით (მე-6 რაუნდში) | |
| | მაიამი-ბიჩი | ხ. შილერი | ნოკაუტით | (6) |
| 1961 წ. | მაიამი-ბიჩი | ტ. ესპერტი | „ | (4) |
| | მაიამი-ბიჩი | ჯ. რობინსონი | „ | (1) |
| | მაიამი-ბიჩი | დ. ფლემენი | „ | (7) |
| | ლუისვილი | ლ. კლარკი | „ | (2) |
| | ლას-ვეგასი | დ. საბედონგი | ქულებით | (10) |
| | ლუისვილი | ა. ჯონსონი | „ | (10) |
| | ლუისვილი | ა. მიტეფი | ნოკაუტით | (6) |
| | ლუისვილი | ვ. ბესმანოფი | „ | (7) |
| 1962 წ. | ნიუ-იორკი | ს. ბანკსი | „ | (4) |
| | მაიამი-ბიჩი | დ. ვარნერი | „ | (4) |
| | ლოს-ანჟელოსი | ჯ. ლოგანი | „ | (4) |
| | ნიუ-იორკი | ბ. დანიელსი | „ | (7) |
| | ლოს-ანჟელოსი | ა. ლავორანტე | „ | (5) |
| | ლოს-ანჟელოსი | ა. მური | „ | (4) |
| 1963 წ. | პიტსბურგი | ჩ. პოუელი | „ | (3) |
| | ნიუ-იორკი | დ. ჯონსი | ქულებით | (10) |
| | ლონდონი | ჰ. კუპერი | ნოკაუტით | (5) |
| 1964 წ. | მაიამი-ბიჩი | ს. ლისტონი | „ | (7) |
| 1965 წ. | ლევისტონი | ს. ლისტონი | „ | (1) |
| | ლას-ვეგასი | ფ. პატერსონი | „ | (12) |
| 1966 წ. | ტორონტო | ჯ. ჩუვალო | ქულებით | (15) |
| | ლონდონი | ჰ. კუპერი | ნოკაუტით | (7) |
| | ლონდონი | ბ. ლონდონი | „ | (3) |
| | ფრანკფურტი | კ. მილდენბერგერი | „ | (12) |

# მოჰამედ ალი — რინგის დემონი



ასეთია მოჰამედ ალი — რინგის მრისხანე დემონი.

● 21 ბრძოლა — ნოკაუტით!
● „დამნაშავე" მწვრთნელი
● ხელმოცარული კაინო
● უშიშარი ქურდები



ფ. ვიგანდი

## ვიგანდის სურვილი

ევროპის ჩემპიონის ოქროს 3 მედლის მფლობელი ფ. ვიგანდი (გდრ) ამას წინათ ჟურნალისტებმა ინახულეს და სთხოვეს მოეთხრო მომავლის გეგმებზე. „ოქროს ვიგანდი" მეტად სიტყვაძვირი და თავმდაბალი აღმოჩნდა.

— აბა, რა გითხრათ? ყველაფერში დამნაშავეა ჩემი მწვრთნელი ო. კუცი, რომლის დაუღალავი შრომითაც შევძელი ოქროს მედლების მოხვეჭა და მსოფლიო რეკორდის დამყარება. რაც შეეხება მომავლის გეგმებს, ჩემი მწვრთნელის სურვილია ასევე წარმატებით გამოვიდე მეხიკოს ოლიმპიადაში. მანამდე კი მინდა ცისფერ ბილიკზე პირისპირ შევხვდე დაუღალავ ამერიკელ დონ შოლანდერს, რომელიც, ჩემი აზრით, მსოფლიოში საუკეთესოა თავისუფალი სტილით ცურვაში.



დ. შოლანდერი

## ამჯერადაც გადარჩა

პოპულარულმა ავსტრალიელმა სტაიერმა კ. კეინომ ის იყო ევროპის ტურნე დაამთავრა და შინ გამგზავრებას აპირებდა, რომ საერთაშორისო შეჯიბრებაში მონაწილეობისთვის ირლანდიის დედაქალაქში მიიწვიეს. მსოფლიოს რეკორდებზე უხეირო იერიშის შემდეგ კეინომ განიზრახა ძალები უკანასკნელად დუბლინში ეცადა და მიწვევას სიამოვნებით დათანხმდა. შეჯიბრებამდე იგი ინტენსიურად ვარჯიშობდა, სურდა დუბლინში შეეტია 1 მილზე რბენაში მსოფლიოს რეკორდისთვის (3.51,3), რომელიც წლეულს ახალგაზრდა ჯ. რაიენმა (აშშ) დაამყარა. კეინოს განზრახვა საფუძველს არ იყო მოკლებული: მან ხომ წლეულს ამ მანძილზე უკვე აჩვენა 3.53,4.

სტარტზე კეინოს მხარში ამოუდგნენ მასპინძელი ჯ. ო'ნეილი, შოტლანდიელი ჰ. ბაროუ, ინგლისელი მ. უიგლი და სხვ. შესანიშნავი ამინდი და საუცხოო ბილიკი ენერგიული ბრძოლის განწყობას ქმნიდნენ, მაგრამ კეინოს მიზანი ამჯერადაც აუხდენელი დარჩა. შეჯიბრების შემდეგ მან ასე „გაიმართლა" თავი: რბენა მეტისმეტად სწრაფად დავიწყე და ბოლოს მეტოქეები საგრძნობლად ჩამომრჩნენო.

მართლაც, კეინომ ნახევარი მილი 1 წუთსა და 52 წამში გაირბინა! კეინომ 1 ადგილი კი მოიგო (3.57,4), მაგრამ რაიენის მსოფლიო რეკორდი ამჯერადაც გადარჩა.

## „ფკ მილანი" ყიდულობს ბეკენბაუერს

დასავლეთგერმანული პრესა იუწყება, რომ იტალიური კლუბის „ფკ მილანის" მეპატრონეებმა სურვილი გამოთქვეს იყიდონ გფრ-ის ეროვნული ნაკრების წევრი ფრანც ბეკენბაუერი, რომელიც „ბაიერნ-მიუნჰენის" კლუბში თამაშობს. საქმეში ჩახედული სპორტული ჟურნალისტები არ ფარავენ, რომ მატჩი „ფკ მილანსა" და „ბაიერნ-მიუნჰენს" შორის სწორედ „საქონლის გასინჯვის" მიზნით მოეწყო. ეს შეხვედრა იტალიელმა ფეხბურთელებმა მოიგეს — 4:2.

„დაინტერესებული მხარეები" მატჩის დამთავრებისთანავე შეუდგნენ მოლაპარაკებას. „ბაიერნ-მიუნჰენის" კლუბის პრეზიდენტმა ვილჰელმ ლეიდეკერმა განაცხადა:

„ჩვენი აზრით, ფრანც ბეკენბაუერს, რომელსაც ამ დღეებში შეუსრულდა 21 წელი, ჩვენთან ეძლევა საკმაო თანხა — 50 ათასი მარკა წელიწადში. ამას უნდა დავუმატოთ ასობით ათასი მარკა, რასაც იგი იღებს დაზღვევისა და სხვადასხვა საქონლის რეკლამისთვის ჰონორარის სახით. მართალია, ფრანცი ჩინებულად გამოვიდა მსოფლიო ჩემპიონატში, მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია მას გავუძლიოთ ჰონორარი. მილანში ბეკენბაუერი 300 ან 500 ათას მარკას მიიღებს და ჩვენ წინ ვერ აღვუდგებით მის სურვილს".

პრეზიდენტის ასეთი დამყოლობა გასაკვირი როდია. პრესაში გაჩნდა ცნობა, რომ „ბაიერნ-მიუნჰენის" კლუბის ადმინისტრაციამ იტალიელ მყიდველებს მოსთხოვა „ვარსკვლავისათვის" 2 მილიონ ნახევარი მარკა გადაეხადათ.

ვაჭრობა გრძელდება.

# ყოველი მხრიდან

## მოპარული გვირგვინი

ისტორიას შეიძლება არც კი დაეინტერესებინა ამერიკელი რეპორტიორები. ნიუ-იორკში დიდი ძარცვის ამბავი კარგა ხანია სენსაციას აღარ წარმოადგენს. მაგრამ ამჯერად საქმე ეხებოდა მსოფლიოს ყოფილ ჩემპიონს პროფესიულ მოკრივეთა შორის ფლოიდ პატერსონს.

პატერსონი ნიუ-იორკში ჩავიდა, რომ ინგლისელ მოკრივე ჰენრი კუპერთან მატჩისათვის მომზადებულიყო. იგი გაჩერდა ულსტერ კაუნტში, თავის ვილაში. მძარცველები გვიან ღამით გამოჩნდნენ. მათ, ალბათ, ჩინებულად იცოდნენ ოთახების განლაგება მთელ სახლში, ამიტომ დაჯერებულად მოქმედებდნენ და არავინ გაუღვიძებიათ. ბანდიტებმა პატერსონის ავტომობილით წაიღეს ყველა ჯილდო, რაც კი ცნობილ მოკრივეს თავის სიცოცხლეში მოუპოვებია. შემდეგ ეს ავტომობილი პოლიციამ ვილიდან 18 მილის დაშორებით ნახა, მძარცველებს იქ დაეტოვებინათ.

გატაცებული ნივთებიდან ყველაზე ძვირფასი იყო მსოფლიო ჩემპიონის ბრილიანტებით მოჭედილი გვირგვინი. იგი პატერსონს მიართვა მისმა მენაჯერმა კუს დ'ამატომ. ამას გარდა, ქურდებმა წაიღეს 15 ოქროს საათი, რომლებიც მოკრივემ სხვადასხვა შეჯიბრებაში მიიღო ჯილდოდ. ნიუ-იორკის პოლიციის შეფის განცხადებით: „მიღებულია ყველა ზომა, რომ მოკრივეს დაუბრუნდეს მისთვის ძვირფასი ნივთები". მაგრამ, მიუხედავად ამ განცხადებისა, მძარცველების კვალს ვერ და ვერ მიაგნეს.

● სტოკჰოლმი, 23 სექტემბერი. შეიქმნა შვეციის ნაკრები გუნდი, რომელიც იასპარეზებს თანამედროვე ხუთჭიდელთა მსოფლიო ჩემპიონატში (შეჯიბრება გაიმართება ნოემბერში, ავსტრალიის ქალაქ მელბურნში). ნაკრებში შევიდნენ ბ. ფერმი, ბ. იანსონი, ჰ. ლილიენვალი და სათადარიგო რ. იუნეფელტი.

● ტოკიო, 23 სექტემბერი. თანამედროვე ხუთჭიდელთა მსოფლიო ჩემპიონატში იაპონელი სპორტსმენები არ იასპარეზებენ, ვინაიდან სპორტის ამ სახეობის იაპონურ კავშირს მიაჩნია, რომ ისინი ძალზე ჩამორჩებიან საერთაშორისო კლასს. ვერც ერთი იაპონელი ათლეტი 4800 ქულაზე მეტს ვერ აგროვებს.

● ვაშინგტონი, 23 სექტემბერი. ამერიკის შეერთებული შტატების რესპუბლიკურმა პარტიამ კალიფორნიის შტატის ერთ-ერთი ოლქიდან კონგრესში თავის კანდიდატად წამოაყენა 1948 და 1952 წლების ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ათჭიდში რ. მატიასი. ეს სახელგანთქმული მძლეოსანი 36 წლისაა. იგი მფლობელია დიდი სპორტული კომბინატისა, სადაც სათანადო ფულადი საზღაურით ამეცადინებს ახალგაზრდა ათლეტებს. წინასაარჩევნო სიტყვებში მატიასი პირობას დებს, რომ მისი არჩევის შემთხვევაში იგი კაპიტოლიის თაღებქვეშ პირველად გაშლის კამპანიას, რათა მთავრობამ დახმარება გაუწიოს ოლიმპიურ მოძრაობას ამერიკის შეერთებულ შტატებში.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

## თბილისის სპორტულ ბაზაზე

**ფეხბურთი.** „დინამოს" სტადიონი. სსრ კავშირის პირველობა. „ა" კლასი. „დინამო" (თბილისი) — „კრილია სოვეტოვი" (კუიბიშევი). დღეს — დუბლშემადგენლობანი; ხვალ — ძირითადი შემადგენლობანი. მატჩების დასაწყისი 18 ს.

**ჭადრაკი.** ცენტრალური საჭადრაკო კლუბი (რუსთაველის პრ. № 48). 25 სექტემბერი-2 ოქტომბერი. თბილისის პირველობის მეოთხედფინალები. დასაწყისი 18 ს.

**კალათბურთი.** კიროვის სახ. კალათბურთის სტადიონი. 27-28 სექტემბერი. ვაჟთა გუნდების საერთაშორისო შეხვედრა: საქართველო (ნაკრები) — გდრ (ნაკრები). დასაწყისი 19 ს.

ИНДЕКС 66418 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.



უე 12079